

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია

უნივერსიტეტი არის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული ინჟინერიის, ტექნოლოგიების და კულტურის განვითარების კერა. მისი მისიაა ინოვაციებზე დამყარებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის მაღალი სულიერების, ზნეობრიობის დამკვიდრებით.

სწავლება უნივერსიტეტში მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, ცოდნაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებისა და ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად; სპეციალისტების მომზადება წარმოებს ინჟინერიის, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სოციალურ, სამართლის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლებით; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ ისეთი ცოდნისა და კომპეტენციების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს მათი განათლების შემდგომ გაღრმავებას და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანას.

კვლევები უნივერსიტეტში მიმდინარეობს მეცნიერების მრავალი მიმართულებით მაღალი კვალიფიკაციის მკვლევრებისა და წარჩინებულ სტუდენტთა შემოქმედებითი თანამონაწილეობით უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, სამეცნიერო ცენტრებში, ინსტიტუტებში, ტექნოპარკებსა და სხვ. ამით ხელს უწყობს საქართველოში მეცნიერებატევადი მიმართულებების განვითარებას და ღირსეული წვლილის შეტანას საქართველოსა და მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაში.